



საქართველო  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია  
GEORGIA  
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



N 2116  
02/09/2020

ზუგდიდი

2116-02-4-202009021557



მერის ბრძანება

არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს თანდართული “არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესი”.
2. 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეები გაფრთხილებულ იქნენ არჩევნების/წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად მოქმედი წესების, შეზღუდვებისა და პასუხისმგებლობის შესახებ.
3. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია

მერი